ივერიელნი

საზოგადოებრივი ჟურნალი 2018 წელი

კოლხეთი ლაზიკა ეგრისი ოდიში

საქართველო-ზემოსვანეთი

დარეჯან კვარაცხელია, ჟურნალისტი

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევითა და მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ძალისხმევით 1997 წელს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დაფუძნდა ფოთის წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის საღვთისმეტყველო-კატეხიზური სკოლა.

2009 წელს სასწავლებელს ეწოდა „ფაზისის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აკადემია“. 2012 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, დაიწყო მისი რეორგანიზაცია. არსებული აკადემიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტი. 2015 წლის 14 დეკემბერს უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისთვის სავალდებულო ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესი და მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, უზრუნველყოს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო კვლევები. ახალი საქართველოს უნივერსიტეტი ახორციელებს ბაკალავრიატის („თეოლოგია“), მაგისტრატურისა („ქრისტიანული ფილოსოფია“), („ქრისტიანული ფსიქოლოგია“) და

დოქტორანტურის („ქრისტიანული ფილოსოფია“) საგანმანათლებლო პროგრამებს.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის რექტორია მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, პროფესორი, დოქტორი.

გვესაუბრება მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლი (ბერბიჭაშვილი).

— უნივერსიტეტის მიზანია თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი მაღალგანვითარებული ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება სულიერ-ზნეობრივ ღირებულებებზე; მართლმადიდებლურ სწავლა-მოძღვრებასა და კულტურაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელიც ემსახურება განსწავლული, მიზანდასახული, მაღალი ზნეობისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას, მათ ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში; ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების მნიშვნელოვან მონაპოვართა შენარჩუნება და სიახლეების დანერგვა; ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციებისა და მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევათა ოპტიმალური დანერგვა საუნივერსიტეტო სივრცეში; უმაღლესი განათლების სისტემის დარგობრივი (სპეციალობათა) მრავალფეროვნების მაქსიმალური შენარჩუნება და განვითარება; საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მისი აქტიური წევრობა; სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მსოფლგაგებათა და აზროვნების სისტემათა, ცოდნისა და რწმენის ტოლპირველადობის პრინციპის ინტეგრაცია საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში.

უნივერსიტეტი ახორციელებს და უზრუნველყოფს: რწმენისა და ცოდნის ერთიანობაზე, განათლების უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობას; საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარებასა და არსებული ცოდნის რეალიზებას ქართული საზოგადოების წიაღში; ხელს უწყობს ქართული და მსოფლიო მართლმადიდებლური კულტურის ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას; ზოგადქრისტიანულ და მართლმადიდებლურ წიაღში შექმნილი ქართული კულტურის შესწავ-

ლას; მომავალი თაობების აღზრდას ქრისტიანული ზნეობის, ქართული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის განათლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას; პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი განათლების მიღებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას; შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, პიროვნული შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებას; ეროვნული განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო და პედაგოგიური პერსონალის მომზადებასა და გადამზადებას; სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნასა და განვითარებას.

უნივერსიტეტი ახორციელებს ქრისტიანული ფილოსოფიის, ქრისტიანული ფსიქოლოგიის სამაგისტრო, ქრისტიანული ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამებს, განგრძობადი განათლების პროგრამას „ქრისტიანობა და თანამედროვეობა“.

ოთხივე პროგრამაზე 95 სტუდენტი სწავლობს.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 25, ამათგან 12 პროფესორია, 4 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ-პროფესორი, 2 კი ასისტენტი. უნივერსიტეტის პროფესორებს შორის 3 უცხოელია.

კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის

სამეცნიერო-კვლევითი არქივი არის ახალი საქართველოს უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეული; მისი მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი პროცესების ფორმირებასა და განვითარებას, ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მემკვიდრეობის დაცვასა და მის გადაცემას შემდეგი თაობებისთვის. არქივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა წარმატებული კვლევების ჩატარება ფილოსოფიისა და თეოლოგიის კუთხით, უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის ოპტიმალური პირობების შექმნა და ამ სფეროებში მკვლევართა ახალი თაობების მომზადება.

არქივში მუშაობენ ქრისტიანული ფილოსოფიის დარგში მოღვაწე საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი მეცნიერები და მკვლევარები. არქივი აქტიურად თანამშრომლობს ქრისტიანული ფილოსოფიისა და მართლმადიდებლური თეოლოგიის ცნობილ უცხოელ სპეციალისტებთან.

კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი რეგულარულად აქვეყნებს სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომებს, ბეჭდავს პერიოდულ გამოცემებს, ატარებს საერთაშორისო და რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციებს, ახორციელებს სხვადასხვა სახის ფუნდამენტურ კვლევებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განხრით. არქივი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებულ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო-კვლევით ცენტრებთან. კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორია ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი თენგიზ ირემაძე.

ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომლის საქმიანობასაც წარმართავს კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი. კლუბის მიზანია მეცნიერების პოპულარიზება, ახალი უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების ჩატარება ქრისტიანული ფილოსოფიის მიმართულებით. ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი მართავს სამეცნიერო შეხვედრებს (სემინარები, საჯარო მოხსენებები, მასტერკლასები), რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, საჯაროდ წარმოადგინონ თავიანთი ჩატარებული

კვლევის შედეგები, დახვეწონ მეცნიერული უნარ-ჩვევები და გამართონ დისკუსია მეცნიერების აქტუალური პრობლემების შესახებ.

კლუბის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე წარმოდგენილი წარმატებული სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი.

განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები

1. მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები:

„ფილოსოფია და ქრისტიანობა - ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია"; „ნეტარი ავგუსტინე — ქრისტიანობის მასწავლებელი"; „თავისუფლების იდეა ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებებში"; „ფილოსოფია და ღვთისმეტყველება შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში";

2. მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები:

- „ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე", რედაქტორი თ. ირემაძე.
- „ახალი რუსული იმპერიალიზმი და კავკასია", რედაქტორი თ. ირემაძე.
- „ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში", რედაქტორი თ. ირემაძე.
- „თავისუფლების იდეა ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებში, რედაქტორი: თ. ირემაძე.
- „ნეტარი ავგუსტინე — ქრისტიანობის მასწავლებელი", რედაქტორი თ. ირემაძე.

„აღმოსავლეთ და დასავლეთ - კულტურათა დიალოგი"

- ტ. 1: ჰელმუტ შნაიდერი — ძენ-ბუდიზმის ესთეტიკა. ვაბი-საბი და მშვენიერების ევროპული იდეა, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ.
- ტ. 2: გიორგი თავაძე — რუკების ძალა. გელათი და კავკასიური ფილოსოფიის ცნება ინტერკულტურული ფილოსოფიის კონტექსტში.
- ტ. 3: თენგიზ ირემაძე — პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში.
- ტ. 4: გიორგი ხუროშვილი - იერუსალიმი და ათენი. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კონტექსტი.
- ტ. 5: თენგიზ ირემაძე, „რელიგია - შემწყნარებლობა — სახელმწიფო".
- ტ. 6: გურამ თევზაძე — ებრაელ ფილოსოფოსთა ინტერპრეტაციები საქართველოში.